თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ქ. თბილისი, 2016 წ.

0160, საქართველო, თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. # 89/24
www.animalsmonitoring.ge
(+995) 32 2421424; (+995) 577 958777
89/24, Kote Marjanishvili str., Tbilisi, Georgia, 0160
info@animalsmonitoring.ge

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 2015 წლის ანგარიში

სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის 1 იანვრიდან. დაფუძნებისთანავე, მოცულობითი საორგანიზაციო და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებების პარალელურად, განხორციელდა ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის თვალსაზრისით მოწინავე და საქართველოს მსგავს უცხო ქვეყნებში არსებული ვითარების შესწავლა-ანალიზი, რომელიც შემდგომში ერთერთ ძირითად საფუძვლად დაედო ახალი სააგენტოს მოკლევადიანი და პერსპექტიული საქმიანობის დაგეგმვის პროცესს. აღნიშნულის შედეგად და თბილისში არსებული ვითარების, რეალობების გათვალისწინებით, შემუშავდა „ცხოველთა პოპულაციების მართვის სტრატეგია“.

უცხო ქვეყნებში არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგებმა ცხადყო, რომ ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის თვალსაზრისით პრობლემები ნაკლებია იქ, სადაც კანონმდებლობა ამ კუთხით დახვეწილია და განუხრელად სრულდება, რამაც დღის წესრიგში დააყენა სფეროს სამართლებრივი რეგულაციების სრულყოფა-ჩამოყალიბების უზრუნველყოფის ამოცანა.

ამ მიზნით შემუშავდა:

- საკრებულოს დადგენილების პროექტი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ - დამტკიცებულია 2015 წლის 6 აპრილს (დადგენილება № 7-28). სააგენტოს დებულებასთან ერთად, „წესი“ წარმოადგენს სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის ძირითად სამართლებრივ ბაზას;

- საკრებულოს დადგენილების პროექტი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ - დამტკიცებულია 2015 წლის 27 ნოემბერს (დადგენილება № 28-117). ამჟამად ხორციელდება საქმიანობის ტექნიკური გამართვისთვის აუცილებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სარეგისტრაციო, პოლიგრაფიული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები, ასევე საქართველოს შსს სსიპ პოლიციის აკადემიაში მიმდინარეობს სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევაზე რეაგირების განსახორციელებლად აუცილებელი თეორიული ცოდნისა და საჭირო უნარ-ჩვევების მისაღებად;

- საკრებულოს დადგენილების პროექტი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ - დამტკიცებულია 2015 წლის 29 დეკემბერს (დადგენილება № 33-141). წესით გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით სსიპ-სთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ცხოველებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის (უპირატესად ცხოველთა პატრონებისთვის) აუცილებელი, მოთხოვნადი, ცივილური და განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული მაღალხარისხიანი და იაფი სერვისების შეთავაზება-უზრუნველყოფა;

- საქართველოს კანონის პროექტი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (103-ე მუხლში) - განიხილება საქართველოს პარლამენტის მიერ. ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში, სააგენტო განახორციელებს ცხოველების მოქმედ მოვლა-პატრონობის წესებთან შესაბამისობაში მოყვანილ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ რეაგირებას შესაძლო დარღვევებზე;

- საკრებულოს დადგენილების პროექტი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ - დამტკიცებულია 2015 წლის 17 მარტს (დადგენილება № 5-19);
- საკრებულოს დადგენილებების პროექტები, სააგენტოს დებულებაში და ცხოველების მოვლა-პატრონობის წესში ცვლილებების შეტანის შესახებ - დამტკიცებულია 2015 წლის 29 და 31 დეკემბერს (შესაბამისად, დადგენილებები №№ 33-139, 33-140). ცვლილებები განპირობებულია არსებულ რეალობასთან ადაპტაციის აუცილებლობით, რაც გამოვლინდა ერთწლიანი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში;

ახალშექმნილი სააგენტოს ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა სათანადო „შიდა“ ნორმატიული ბაზა - გამოიცა სააგენტოს დირექტორის 526 ბრძანება, რომელთა შორის 58 ბრძანებით დარეგულირდა სააგენტოს საქმიანობის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები (ინსტრუქციები, წესები, რეკომენდაციები და ა.შ.). კერძოდ, სააგენტოს პრაქტიკული საქმიანობის მარეგლამენტირებელ ძირითად დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია: „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შრომის შინაგანაწესი“, „სააგენტოს თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები“, „სააგენტოს თანამშრომელთა მიერ, დაინტერესებულ პირთა შეტყობინებებზე რეაგირების და ცხოველთა დაჭერა-გადაყვანის ინსტრუქცია“, „თბილისში უპატრონო ძაღლების უკონტროლო პოპულაციის შედეგად შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა“, „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ საგანგებო ან/ და სხვა ექსტრემალური სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიების გეგმა“ და სხვა.

ახლადშექმნილ სააგენტოს ეფექტური და ოპერატიული მუშაობისთვის ესაჭიროებოდა 24-საათიანი სამორიგეო ნაწილი, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს შეტყობინებების მიღება, გაიცემა კომპეტენტური პასუხები და ხორციელდება რეაგირება. საამისოდ სააგენტომ შსს „112“ - ის დეპარტამენტში გადაამზადა 9 თანამშრომელი და დროის მცირე მონაკვეთში უზრუნველყო „112“-ის ოპერატიული მართვის ცენტრთან ელექტრონული კავშირის გამართვა. დღეის მდგომარეობით, სააგენტოს და „112“-ის დეპარტამენტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სრულყოფილად და ოპერატიულად ხორციელდება ურთიერთთანამშრომლობა და მოსახლეობის შეტყობინებებზე ეფექტური რეაგირება.



თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის პრინციპების და სტანდარტების შემუშავების მიზნით, 2015 წლის მარტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ დარგის ცნობილი სპეციალისტები და ექსპერტები (ბიოლოგიის, ეტოლოგიის, ვეტერინარიის, კინოლოგიის სფეროებში), ცხოველთა დამცველი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მათ განიხილეს და მოიწონეს სააგენტოს მიერ შეთავაზებული „ვეტერინარულ-სანიტარული კორდონის კონცეფცია“, ჩამოვაყალიბეთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებინა სააგენტოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი უპატრონო ძაღლების დათვლის მეთოდიკის შემუშავებისას.

ანალოგიურად, ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით, 2015 წლის მაისში შეიქმნა მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭო, დარგის ცნობილი სპეციალისტების, ცხოველთა კერძო თავშესაფრების და ცხოველთა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თუ ცალკეული ადამიანების შემადგენლობით. საბჭო პერიოდულად იკრიბება და განიხილავს სფეროს განვითარების სტრატეგიას, მსჯელობს შესაძლო პრობლემურ საკითხებზე, სახავს სათანადო გეგმებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

აღსანიშნავია „სამუშაო ჯგუფის“ მიერ მოწონებული, ზემოხსენებული „ვეტერინარულ-სანიტარული კორდონის კონცეფცია“, რომელიც ჩამოყალიბდა ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის ეფექტურად ორგანიზების მიზნით და უპირველესად მიზნად ისახავს დედაქალაქის დაცვას „მიგრანტი“ ცხოველების შემოდინებისგან და, შესაბამისად, თბილისში ძაღლების პოპულაციის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორის განეიტრალებას. პროექტის ამოცანებში ასევე შედის თბილისის „გაწმენდა“ აგრესიული, დაავადებული, არასტერილიზებული ძაღლებისაგან. ასევე გათვალისწინებულია ანტირაბიული (ცოფსაწინააღმდეგო) პირველადი და ყოველწლიური ვაქცინაციის პროცესების ორგანიზება. პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და სააგენტო ვარაუდობს მისი ძირითადი სტადიის დასრულებას 2017 წლის ბოლოსთვის.



ცხოველთა უკონტროლო პოპულაციის მხრივ ქალაქში არსებული მძიმე ვითარების სტაბილიზაცია-კონტროლისკენ მიმართულ ძირითად **ორგანიზაციულ** ღონისძიებად მიჩნეულია უპატრონო ძაღლების პოპულაციის რიცხოვნობის დადგენის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ცხოველთა პოპულაციის ოპტიმიზაციისთვის ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმების შესამუშავებლად მყარი საწყისი საფუძვლების შექმნას. ამ მიზნით, სხვადასხვა მეთოდებიდან, ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ შეირჩა და დამუშავდა ოპტიმალური ვარიანტი (ფინანსების დაზოგვის, ცოცხალი რესურსის ოპტიმიზაციის და დროის მცირე მონაკვეთში შესრულების თვალსაზრისით) - თბილისში ბინადარი უპატრონო ძაღლების პოპულაციის (რიცხოვნობის) დადგენის მეთოდოლოგია. შედეგად, სააგენტომ საკუთარი ძალებით და ყოველგვარი დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის გარეშე, 2015 წლის ივლისი - ნოემბრის თვეებში, პირველად დედაქალაქის ისტორიაში, განახორციელა უპატრონო ცხოველების სრულყოფილი დათვლა - ქალაქში ბინადარი ამ კატეგორიის ცხოველების რიცხვი **აჭარბებს 43 ათასს.** რაოდენობის დადგენა იძლევა საშუალებას დავგეგმოთ ცხოველთა პოპულაციის მართვა-კონტროლის ღონისძიებები, ეფექტურად განვახოციელოთ მოსახლეობის დაცვა აგრესიული თუ დაავადებული ცხოველებისაგან, დავგეგმოთ უპატრონო ცხოველების მასობრივი ანტირაბიული ვაქცინაცია და ა.შ.



თბილისის მაშტაბით დათვლილი უპატრონო ძაღლების რაოდენობა, რაიონების მიხედვით.

ჯამი - 8707



- გლდანი 9.73 კმ ²
- დიდი დიღომი 2.4 კმ ²
- საბურთალო 11.2 კმ ²
- ვარკეთილი 4.77კმ ²
- ლილო 7.79კმ ²

ქალაქში უპატრონო ცხოველების პოპულაციის მართვა-კონტროლის მხრივ არსებული ვითარებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენის მიზნით, სააგენტომ 2015 წლის აპრილიდან დაიწყო მოსახლეობის გამოკითხვა. გამოიკითხა 1500-მდე ადამიანი. მათ 77 პროცენტს აწუხებს ქალაქში უმეთვალყურეო ძაღლების არსებობა. უმეტესობა მოითხოვს პრობლემის მოსაგვარებლად „ნებისმიერი ზომების“ გატარებას. გამოკითხვის პროცესი განხორციელდება სისტემატურად, უწყვეტ რეჟიმში, რათა მუდმივად გვქონდეს სრული წარმოდგენა მოსახლეობის განწყობისა და მოთხოვნების შსახებ.

როგორც აღინიშნა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, 2015 წლის აპრილიდან თბილისში დაინერგა ცხოველთა რეგისტრაციისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოების წესი. ამავე დადგენილებით, რეგისტრაციის ერთიანი საინფორმაციო ბანკის შევსება-ექსპლუატაციაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა სააგენტო, თუმცა რეგისტრაციის უფლებამოსილება დელეგირებულია შესაბამის კერძო სექტორზე (თავშესაფრები, ვეტერინარული დაწესებულებები, კინოლოგიური და ფელინოლოგიური კავშირები). შემუშავდა სპეციალური ნიმუშის სარეგისტრაციო მოწმობები, რომლებიც დაურიგდათ ცხოველების იდენტიფიკაციის განმახორციელებელ კერძო სუბიექტებს. გასულ პერიოდში სააგენტომ იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის დამოუკიდებლად წარმოებაზე ხელშეკრულება გაუფორმა 41 ასეთ დაწესებულებას. ხელშეკრულებებში აისახა ორივე მხარის უფლებამოსილებები და ვალდებულებები. აღნიშნულის საფუძველზე სააგენტოში ყოველთვიურად შემოდის ცხოველების საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლებიც აისახება სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში. სულ 2015 წლის აპრილის თვის შემდგომ პერიოდში დარეგისტრირდა 2694 ცხოველი. ცხოველების რეგისტრაციის პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტომ, გაითვალისწინა რა სიძნელეები, რომლებიც შეიძლებოდა პატრონებს წარმოქმნოდათ ცხოველების ტრანსპორტირებისას, აქციის ფარგლებში დააწესა შეღავათიანი სამ-თვიანი პერიოდები, რომლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა ცხოველების რეგისტრაცია „სახლიდან გაუსვლელად“ - აღნიშნული შეღავათით ისარგებლა 175 ცხოველის პატრონმა.



სააგენტოს საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და საინფორმაციო-განმარტებით საქმიანობას, რომელიც მიმართულია ცხოველებთან დამოკიდებულებაში ჰუმანური და უსაფრთხო, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აპრობირებული მეთოდების დასანერგად. ამ მიზნით შემუშავდა და დამზადდა 20 500 საინფორმაციო ტრიპლეტი, რომლებიც რიგდება სააგენტოს მიერ ორგანიზებულ მასობრივ ღონისძიებებზე, ცხოველთა თავშესაფარში, ვეტერინარულ დაწესებულებებში, სკოლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.













ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში მოხვედრილი უპატრონო ცხოველებისთვის ახალი პატრონების მოძიების მიზნით, ინტერაქტიულ საქმიანობასთან (სოციალურ ქსელებში) ერთად, ზოოპარკის და მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე სააგენტომ ჩატარდა ლეკვების გაჩუქების 19 აქცია. შედეგად გაჩუქდა 47 ცხოველი.

სააგენტომ მოიზიდა 27 ადგილობრივი და 10 უცხოელი ვოლონტიორი, რომლებიც ფიზიკურ დახმარებას უწევენ პერსონალს ცხოველების მოვლასა და სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარებაში. გარდა ფიზიკური დახმარებისა, ვოლონტიორების ნაწილი ცხოველთა თავშესაფარს ეხმარება მატერიალურად: 2015 წელს ადგილი ჰქონდა თავშესაფრისადმი სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემას (ე.წ. „პადონები“, თბილი საგებები, ცხოველების საკვები და ა.შ.). ვოლონტიორთა მეორე ნაწილმა (მხატვრებმა) მოხატეს ცხოველთა თავშესაფრის კედლები, დიდი ნაწილი სოციალურ ქსელებში ეწევა სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციას.

უმეთვალყურეო ცხოველების მოვლა-პატრონობის ჰუმანური მეთოდების დანერგვის და მათი პოპულაციების მართვა-კონტროლის ღონისძიებების აუცილებლობის პროპაგანდის მიზნით, სააგენტო აქტიურად მუშაობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. შედეგად მომზადდა და ეთერში გავიდა 42 სატელევიზიო გადაცემა და არაერთი პუბლიკაცია პრესასა და სოციალურ ქსელებში.

წლის განმავლობაში სააგენტომ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები სხვადასხვა, მათ შორის სახელმწიფო, ადგილობრივი ცხოველთა დაცვის არასამთავრობო და საერთაშორისო/უცხოურ ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული მუშაობის პოზიტიური შედეგების საფუძველზე, ცნობილმა ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ „Mayhew International“ გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების და სააგენტოს მხარდაჭერის სურვილი. შედეგად, მუნიციპალურ თავშესაფარს საჩუქრად მათ მიერ გადაეცა სხვადასხვა ვეტერინარული და სამედიცინო აღჭურვილობა. აღნიშნული თანამშრომლობა გრძელდება და იგეგმება მნიშვნელოვანი ერთობლივი ღონისძიებები, რაც პოზიტიურად აისახება როგორც თბილისის, ისე მთელი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

სააგენტომ მოამზადა საინფორმაციო - საგანმანათლებლო მასალა და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, ნოემბრიდან ატარებს გაკვეთილებს საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, ცხოველების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების დანერგვის, მოვლა-პატრონობის წესების დაცვის აუცილებლობისა და ცხოველებისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ მოზარდების ინფორმირების მიზნით. სააგენტოს აღნიშნული აქტივობა მუდმივ რეჟიმში გაგრძელდება, ვინაიდან პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებულ ექფექტთან ერთად, გამოიკვეთა დიდი ინტერესი როგორც მოსწავლეთა, ასევე მათი მშობლებისა და პედაგოგების მხრიდან.

გარდა ზემოხსენებული აქტივობებისა, წლის განმავლობაში სააგენტომ 127 შეხვედრა ჩაატარა მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებთან, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ სხვადასხვა საზოგადო თუ პირადი საკითხებით დაინტერესებულ ცალკეულ მოქალაქეებთან. ასევე, სექტემბერში საზოგადოებას წარედგინა გაწეული საქმიანობის შუალედური ანგარიში.



სააგენტო აქტიურად მონაწილეობდა თბილისში, 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობაში, რომელიც მოიცავდა სამაშველო, საძიებო და ვეტერინარულ ღონისძიებებს. სააგენტოს დირექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა მობილური ჯგუფები გამოცდილი კინოლოგების, ვეტერინარი ექიმების და ცხოველდამჭერების შემადგენლობით, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში ახორციელებდნენ მოსახლეობის დაცვის და ზოოპარკიდან გაქცეული მტაცებლების ან კერძო თავშესაფრებიდან დაკარგული ცხოველების ძებნის ღონისძიებებს. შედეგად, დაჭერისა და მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანის შემდეგ, ვეტერინარული დახმარება გაეწია 5 დათვს, 2 ტურას, 1 მელას და 5 მგელს, ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული კერძო თავშესაფრიდან გადმოყვანილ 20 ძაღლს.

ქ.თბილისში, ევროპის მე-13 ოლიმპიური ფესტივალის მსვლელობისას უმეთვალყურეო ცხოველებისგან მომდინარე საფრთხეების პრევენციის მიზნით, სააგენტოს თანამშრომლები, წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე ახორციელებდნენ შესაბამის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. შედეგად ფესტივალის სტუმრებს თუ მონაწილეებს უმეთვალყურეო ცხოველებისა და ქვეწარმავლებისგან პრობლემები არ შექმნიათ.

ანალოგიური სამუშაოები იქნა განხორციელებული „თბილისობის“ დღესასწაულის მიმდინარეობისას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი უმეთვალყურეო ცხოველების რაოდენობა 43 ათასს აჭარბებს, რაც ხიფათს უქმნის მოსახლეობას, ცხოველებს, იწვევს გადამდებ სნეულებათა გავრცელების საშიშროებას. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ადგილი აქვს ცხოველთა ამ კატეგორიის რიცხოვნობის ზრდის ტენდენციას.

2015 წელს სააგენტოში შემოვიდა 13000-ზე მეტი შეტყობინება, რომლებზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება (გაეწია კონსულტაცია, გავიდა რეაგირების ჯგუფი, მოხდა ცხოველების დაჭერა-გადაყვანა და ა.შ.).

2015 წლის განმავლობაში დაჭერილი და თავშესაფარში გადაყვანილია 6 084 ცხოველი, რომლებსაც ჩაუტარდა სტერილიზაცია-კასტრაციის 1 164 და სხვა ტიპის 44 ქირურგიული ოპერაციები. მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 492 ცხოველი, მიკედლებულია - 364, ბინადრობის პირვანდელ თუ სხვა, მიზანშეწონილ არეალში დაბრუნდა - 1231 ცხოველი, ჩატარდა 246 სამაშველო ოპერაცია. სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმის, საშიში სნეულების თუ ჭარბი აგრესიის გამო, ჩატარდა 1 115 ცხოველის ევთანაზია.

პოპულაციების მართვა-კონტროლის ეფექტურობის ამაღლებაში სააგენტოს განკარგულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მაქსიმალურად სრულფასოვნად გამოყენების მიზნით, 2015 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები:

- სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა თავშესაფრის საკანალიზაციო სისტემის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და დაიგო თანამედროვე სტანდარტის იატაკი - 12 990 ლარი;
- დამონაჟდა ვოლიერების გათბობის სისტემა - 15 400 ლარი;
- დამონტაჟდა ვენტილაციის, განათების და სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაციის სისტემები - 4 500 ლარი;
- ვოლიერებში დაიგო თანამედროვე სტანდარტის 95 ცალი ახალი საგებები (ე.წ. „პადონები“) – 10 000 ლარი;

განხორციელდა მედიკამენტებისა და ცხოველების საკვების საწყობის რეკონსტრუქცია, ვოლიერების აღდგენა, თავშესაფრის ტერიტორიის კეთილმოწყობა;

- განხორციელდა ვეტერინარულ-სამეურნეო ბაზის განმტკიცებისკენ მიმართული ღონისძიებები და შეძენილ იქნა:
- ორი სპეციალიზირებული ავტომობილი (ცხოველების ტრანსპორტირებისთვის) – 96 800;
- სხვადასხვა სამედიცინო ინვენტარი და სასტერილიზაციო დანადგარები (ავტოკლავი, სტერილიზატორი) – 12 300 ლარი;
- თანამედროვე საოპერაციო და საპროცედურო მაგიდები - 2 739 ლარი;
- ცხოველების დასაჭერი ლასოები, ხაფანგები, მანქანებში დასამონტაჟებელი გალიები - 15 000 ლარი;
- სხვადასხვა კატეგორიის და დანიშნულების უნიფორმა და სპეცტანსაცმელი - 29 085 ლარი და სხვა.

2015 წლის სააგენტოს ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 3 226 000 ლარით. ბიუჯეტის პარამეტრების სწორად დაგეგმარების და ხარჯვის შედეგად, ათვისებულია 98 %. აუთვისებელი თანხები (2 %) დარჩა მხოლოდ კომუნალური გადასახადებისა და საწვავის ათვისების მიმართულებით. ცხადია, რომ ბიუჯეტის ამ მუხლების ხარჯვითი ნაწილის ზუსტი დაგეგმვა პრაქტიკულად შეუძლებელია, განსაკუთრებით საწვავის ხარჯვის ნაწილში, ვინაიდან სააგენტო წარმოადგენს საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ერთერთ სამსახურს და მისი ავტოტრანსპორტის რეაგირებისთვის განკუთვნილ ნაწილზე (11 ავტომანქანა) გათვალისწინებულია ე.წ. „ულიმიტო“ საწვავის ოდენობა - რეაგირების ღონისძიებების შედეგად ფაქტობრივად გახარჯული საწვავის ოდენობა.

სააგენტოს სტრუქტურის ჩამოყალიბების პარალელურად, მიმდინარეობდა მუშაობა კვალიფიციური, კეთილსინდისიერი კადრებით სამსახურის დაკომპლექტების და თანამშრომელთა მიერ საქმიანობის თეორიული საფუძვლების ცოდნის დონის შეფასება-ამაღლების მიზნით, ასევე დისციპლინის განმტკიცების მიმართულებით:

- ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობა მიიღო 3953 აპლიკანტმა, რომელთაგან დაინიშნა 138; სხვადასხვა სახის გადაცდომისთვის დისციპლინური სასჯელი დაედო 46 თანამშრომელს, წახალისებულ იქნა 130 თანამშრომელი;
- „112“-ის მეშვეობით შემოსული შეტყობინებების მიღება-დამუშავების, რეაგირების ღონისძიებების პროცესში და ცხოველთა თავშესაფარში დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციაში ჩართული, ასევე სააგენტოს პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილე ყველა თანამშრომელს (118) ჩაუტარდა სააგენტოს ქვემდებარე ნორმატიული და დირექტიული აქტების ცოდნის დონის შეფასების გამოცდები, წინასწარ მომზადებული პროგრამის საფუძველზე;
- შსს პოლიციის აკადემიაში გადამზადდა 34 თანამშრომელი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

2015 წლის განმავლობაში სააგენტოში შემოვიდა 418 წერილი, მათ შორის 268 მოქალაქეებისგან. განხორციელდა რეაგირება ყველა იმ პრობლემაზე, რომლებიც აწუხებდა მოსახლეობას და ითხოვდნენ დახმარებას. მომზადდა და როგორც მოქალაქეებს, ასევე ხელისუფლების ორგანოებს, სხვა ორგანიზაციებს გაეგზავნა 385 წერილი.

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 2016 წლის ძირითადი ღონისძიებების გეგმა

- **თანამედროვე სტანდარტის საკარანტინო სივრცის აშენება ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფრის ამჟამინდელი შიდა ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (მიმდებარედ), 30-40 ახალი ვოლიერის განსათავსებლად საჭირო სადგომის აშენება** - თავშესაფარში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების, ცხოველებს შორის გადამდებ სნეულებათა გავრცელების პრევენციის, მოქმედი უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნათა განუხრელი დაცვის მიზნით;
- **„სანიტარულ-ვეტერინარული კორდონის კონცეფციის“** მოთხოვნათა რეალიზების მიზნით, 2016 წელს განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის შემუშავება-გატარება;
- დედაქალაქის მოსახლეობისათვის **ცხოველების ტრანსპორტირების და იდენტიფიკაციის ფასიანი სერვისების** (სოციალურად დაუცველი ფენისთვის - უსასყიდლოდ) მიწოდების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებების გატარება;
- **ულტრასონოგრაფიული კვლევისთვის შესაბამისი აპარატურის** შეძენა, ვეტერინარული საქმიანობის სრულყოფის მიზნით;
- **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ზომების (დაჯარიმების) გასატარებლად აუცილებელი ღონისძიებების რეალიზება,** ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დაცვის, ჰუმანური, ცივილიზებული ფორმების დანერგვის და ცხოველებისგან მომდინარე საფრთხეებისგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად;

- **„ცოფის პრევენციის მიზნით 2014-2018 წლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის № 690 განკარგულების მოთხოვნების შესაბამისად და ძაღლების პოპულაციის რიცხოვნობის შედეგების გათვალისწინებით, უპატრონო ძაღლების ანტირაბიული ვაქცინაციის, იდენტიფიკაციის (ვაქცინირების უზრუნველსაყოფად) და რევაქცინაციის მექანიზმების შემუშავება, აუცილებელი რესურსების გაანგარიშება, ცოფის პრევენციის მიზნით გასატარებელი კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვა;
- **ადამიანებზე და მათ ქონებაზე (ძირითადად პირუტყვი) გარეულ ცხოველთა (მგელი, ტურა) თავდასხმების ფაქტებზე ოპერატიული და ეფექტური რეაგირების მექანიზმების შემუშავება,** საამისოდ შესაბამისი საკანონმდებლო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ბაზის შექმნა;
- **საჯარო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის გაგრძელება** - მოსახლეობაში ცხოველების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების დანერგვის, მოვლა-პატრონობის წესების დაცვის აუცილებლობისა და ცხოველებისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ მოზარდების ინფორმირების მიზნით;
- **საერთაშორისო და უცხოურ ცხოველთა დამცველ ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება**, სააგენტოს წინაშე მდგარი ამოცანების, პრობლემების გადაჭრაში მათი დახმარების, ხელშეწყობის მიღების მიზნით. ამავე მიზნით, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის გამოცდილების, შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველყოფა;
- **ცხოველთა მოვლა-პატრონობის ჰუმანური წესების პოპულარიზაციის, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესახებ მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირების უზრუნველყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების,** სოციალური ქსელების, საზოგადოებასტან ურტიერთობის სხვა ფორმების გამოყენებით;
- **ცხოველების გაჩუქების აქციების ჩატარება, მასშტაბების და ინტენსივობის გაზრდა,** ამ აქციათა გაშუქების უზრუნველყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში - ცხოველთა მოვლა-პატრონობის ცივილიზებული მეთოდების პოპულარიზაციის და უპატრონო ცხოველების გაჩუქება-მიკედლების უზრუნველსაყოფად.

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
2016 წ. 4 იანვარი